საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№2689 2019 წლის 24 დეკემბერი ქ. თბილისი

კაპიტალური პროექტებისათვის დაგეგმილი გადასახდელების მიმდინარე დანიშნულების ხარჯებში გადატანაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიეცეს თანხმობა, „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა“ (პროგრამული კოდი: 27 04) – პროგრამისათვის გათვალისწინებული ასიგნებიდან 13 063 200 ლარი მიმართოს „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“ (პროგრამული კოდი: 27 03 01) – პროგრამით გათვალისწინებულ ასიგნებაში.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**